საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დერბენდი



დერბენდის ციხე

დერბენდი, ძვ. დ ა რ უ ბ ა ნ დ ი (სპარს. დარ–კარი, ბანდ–ზღუდე), ჩ ო რ ი, ქალაქი დაღესტანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე.

დ. VII–IX სს-ში არაბთა სახალიფოში შედიოდა, X ს-იდან ფეოდ. სამთავროს ცენტრია. სტრატეგიული მნიშვნელობის გამო (კეტავდა ჩრდ. კავკ. შემოსასვლელს) დ. მუდამ იყო გაერთ. საქართვ. ხელისუფალთა ყურადღების ცენტრში.

არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის ცნობით, დ-ის მელიქი დემეტრე I-ის ქვეშევრდომი იყო. 1167 გიორგი III-მ დაამარცხა შირვანში იმიერკავკასიიდან შემოჭრილი მაჰმადიანი მფლობელები და „მივიდა კართამდის დარუბანდისათა, მოაოხრა ქუეყანა მუსკურისა და შარაბამისა, და აიღო ქალაქი შაბურანი...". XIII ს-ში, მონღოლთა დაპყრობის შემდეგ, დ-ის სტრატეგიული მნიშვნელობა დაქვეითდა.

XVI ს-ში და XVIII ს. დამდეგს დ. ირან. სამფლობელო იყო. 1722 შეუერთდა რუსეთს, მაგრამ 1735 განჯის ხელშეკრულებით ისევ ირანს დაუბრუნდა.

1747 დაარსდა დერბენდის სახანო.

1813 გულისტანის საზავო ხელშეკრულებით დ. საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს.